ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

გარემოს დაცვის კომისიის სხდომის

ოქმი №83

29.04.2021 წ. ქ. თბილისი, თავისუფლების მოედანი №2

10:00 სთ

სხდომას ესწრებოდნენ:

გარემოს დაცვის კომისიის წევრები: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე), გიორგი ტყემალაძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“), ერეკლე კუხიანიძე, ლევან ჯაფარიძე (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი).

სხდომას ესწრებოდნენ აგრეთვე:

საკრებულოს წევრები:

1. **რევაზ სოხაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
2. **დავით უთმელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
3. **დავით ჭელიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი;
4. **ლევან ჟორჟოლიანი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი.

მოწვეული სტუმრები:

1. **გაიოზ თალაკვაძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანასო საქალაქო სამსახურის უფროსი;
2. **ლევან მიქავა** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანასო საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე;
3. **გიგა გიგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსი;
4. **ოთარ ჩიტიძე** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
5. **ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე.

გარემოს დაცვის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა: გიორგი დოხტურიშვილი (კომისიის თავმჯდომარე).

სხდომის თავმჯდომარე ბ-ნი გიორგი დოხტურიშვილი მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

სხდომა გაიმართა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის სრული დაცვით (ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის №2-1 დადგენილების მუხლი 30) გარემოს დაცვის, ასევე, ურბანული დაგეგმარებისა და საქალაქო მეურნეობის კომისიების ერთობლივი სხდომის ფორმატში.

სხდომის დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 28 აპრილის №12-0321118126-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   /მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი?

2. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 28 აპრილის №12-0321118142-03 წერილი) - ოქმს ერთვის

   /მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

3. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 28 აპრილის №12-0321118143-03 წერილი) - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

4. **მიმდინარე საკითხი** - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 18 ივნისის **№12-032017049-03 წერილის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01200501781-67 განცხადება)** - ოქმს ერთვის

/**მომხსენებელი: ნინო ბაგაშვილი** - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე/

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის წევრთა მიერ მოწონებული იქნა და ერთხმად დამტკიცდა სხდომის დღის წესრიგი.

მოისმინეს დღის წესრიგის პირველი საკითხი - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 28 აპრილის №12-0321118126-03 წერილი)

დღის წესრიგის პირველი საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

მომხსენებლის (გ. თალაკვაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილებები ხორციელდება მიმდინარე წელს ფაქტიურად მიღებული შემოსულობების პროგნოზების გათვალისწინებით, რომლის თანახმად, იზრდება:

შემოსავლების ნაწილში საწარმოთა ქონებაზე გადასახადი (გარდა მიწისა) - 12 000 000 ლარით (საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2021 წლის 28 აპრილის №04-03/55043 წერილის საფუძველზე, ფისკალური პროგნოზების გათვალისწინებით ქონების გადასახადის საპროგნოზო მოცულობის გადაჭარბება);

გრანტების ნაწილში სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული გრანტები (კაპიტალური სპეციალური ტრანსფერი) - 30 000 000 ლარით (საქართველოს მთავრობის 2021 წლის 27 აპრილის №632 განკარგულებით, „საქართველოს 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან თბილისის მუნიციპალიტეტისათვის ინფრასტრუქტურული პროექტების ნაწილობრივი დაფინანსების მიზნით);

სხვა შემოსავლების ნაწილში პროცენტები - 800 000 ლარით, მოსაკრებელი სპეციალური (ზონალური) შეთანხმების გაცემისათვის - 1 100 000 ლარით, სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები (შემოსავალი სხვა მართვის უფლების გადაცემიდან) – 24 000 000 ლარით, არაფინანსური აქტივების კლებიდან (არაწარმოებული აქტივები (მიწა)) მისაღები შემოსავლები - 11 000 000 ლარის ოდენობით.

შესაბამისად, წარმოდგენილი პროექტით ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 78 900 000 ათასი ლარით და შეადგენს 1 191 310 300 ლარს.

ასევე, წარმოდგენილ პროექტში გათვალისწინებულია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ზოგიერთი სტრუქტურული ერთეულების, რაიონის გამგეობის და საბიუჯეტო ორგანიზაციის დამატებითი მოთხოვნების შესახებ წინადადებები.

საბიუჯეტო ასიგნებები გადანაწილდა ბიუჯეტით გათვალისწინებულ შესაბამის პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე.

ასევე, დაზუსტდა სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო (კოდი 10 18) პროგრამის ფარგლებში მომუშავეთა რიცხოვნობა გაიზარდა 5 ერთეულით და შეადგენს 140 ერთეულს.

კომისიამ, კომპეტენციის ფარგლებში, განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

- **გამწვანების ღონისძიებები (კოდი 03 01)** - პროგრამის დაფინანსება გაიზარდა 4 120 000 ლარით და ჯამში შეადგენს: **84 418 000 ლარს;**
- **დასუფთავების ღონისძიებები (კოდი 03 02)** – პროგრამის დაფინანსება გაიზარდა 7 400 000 ლარით და ჯამში შეადგენს: **73 254 000 ლარს;**
- **ცხოველთა მონიტორინგი (კოდი 09 02)** - პროგრამის დაფინანსება მცირდება 3 630 000 ლარით და ჯამში შეადგენს: **3 955 200 ლარს.**

მომხსენებლის, ბ-ნი გ. თალაკვაძის მიერ წარმოდგენილი ინფორმციის მოსმენის შემდეგ, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში შესატან ცვლილებებთან (საბიუჯეტო პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსების გაზრდა/შემცირება)

დაკავშირებით **შეკითხვები დასვეს:** ბ-ნმა გ. ტყემალაძემ, ბ-ნმა გ. დოხტურიშვილმა, ბ-ნმა რ. სოხაძემ, ბ-ნმა დ. უთმელიძემ, ბ-ნმა ლ. ჯაფარიძემ (ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“, მაჟორიტარი წევრი).

დასმულ შეკითხვებს უპასუხა მომხსენებელმა ბ-ნმა გ. თალაკვაძემ.

კითხვა-პასუხის შემდეგ, კომისიის წევრთა მიერ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტთან დაკავშირებით **განსხვავებული აზრი, დამატებითი შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.**

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 28 აპრილის **№12-0321118126-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 28 აპრილის **№12-0321118126-03** წერილით წარმოდგენილი „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის №71-134 დადგენილებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეორე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 28 აპრილის №12-0321118142-03 წერილი)

დღის წესრიგის მეორე საკითხი წარმოადგინა ბ-ნმა ო. ჩიტაძემ.

მომხსენებლის (ო. ჩიტაძე) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, წარმოდგენილი პროექტით ცვლილება ხორციელდება მიწათსარგებლობის გენერალური გეგმით დამტკიცებულ „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკასა“ (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკაში” (დანართი №1.11). კერძოდ, ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ ქალაქგეგმარებით ,,A1” არეალში.

იმავე მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დანართი №2-ის 72-ე მუხლის მე-4 პუნქტის ,,კ” ქვეპუნქტის შესაბამისად, ხილიანი-დოლიძის მიმდებარე ტერიტორიაზე განსაზღვრულ ,,A1” არეალში განვითარება დასაშვებია ერთიანი განაშენიანების რეგულირების გეგმის შესაბამისად.

ვინაიდან, გრაფიკული დანართით წარმოდგენილ კონტურში არსებული მიწის ნაკვეთების სამშენებლოდ განვითარებისთვის აღნიშნული რეგულირება გადაულახავ წინააღმდეგობას წარმოადგენს და ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მოცემული ტერიტორიის დამოუკიდებლად (მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებით) განვითარება დასაშვებია, იგი მოიხსნება შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკიდან (დანართი №1.11) და შესაბამისი ცვლილება განხორციელდება „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკაშიც“ (დანართი №1).

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 28 აპრილის **№12-0321118142-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკისა“ (დანართი №1) და ,,თბილისის

შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკის" (დანართი №1.11)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5
წინააღმდეგი - 0
თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 28 აპრილის **№12-0321118142-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის („დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილი – რუკისა" (დანართი №1) და ,,თბილისის შემდეგი რიგის ქალაქგეგმარებითი არეალების რუკის" (დანართი №1.11)) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მესამე საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2021 წლის 28 აპრილის №12-0321118143-03 წერილი)

დღის წესრიგის მესამე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქ. თბილისის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკულ ნაწილში - რუკაში მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად დღის წესრიგში დადგა გარკვეული ცვლილების შეტანის საკითხი, რაც წარმოდგენილია ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის მთავრობის 2021 წლის 28 აპრილის №21.568.684 განკარგულებით, ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალის (პროექტის) და განმარტებითი ბარათის სახით (სულ: 13 წინადადება - №01210833824-67; №01211043682-67; №01210665-67; №01211031102-67; №01210982542-67; №01210692494-67(№0121050677-67); №01211114-67(№01210553102-67); №0121110777-67(№01211052555-67); №19/01210911392-01(№19/01210902382-01); №01210912502-67; №01211103817-67; №01211163361-67; №01211111108-67).

- განმარტებითი ბარათის „ა“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის 1-ლი პუნქტი) - **№01210833824-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მეურნეობის დასახლებაში, მეგობრობის ქ. №2ბ-ს მიმდებარედ, დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.08.28.961-ის მიმდებარედ) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ცვლილება სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული ლანდშაფტურ-სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 7 აპრილის №01210973641 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში თანახმაა, №81.08.28.961 საკადასტო ერთეულის მიმდებარედ არსებული დაურეგისტრირებელი ტერიტორიის ნაწილზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქიცური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული ლანდშაფტურ სარეკრეაციო ზონის (ლსზ) ფენა.

ამასთან, 2021 წლის 8 აპრილის №61-01210984015 წერილის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ქონების მართვის სააგენტო მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილებასთან დაკავშირებით დადებით პოზიციას აფიქსირებს.

ვინაიდან №81.08.28.961 საკადასტრო ერთეულს არ აქვს მისასვლელი გზა, მოთხოვნილი ცვლილების არეალში განხორციელდება მისი მოწყობა, რაც ხელს შეუწყობს მიწის ნაკვეთის სამშენებლო განვითარებას.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 2 (რზ-2).

- განმარტებითი ბარათის „ბ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-2 პუნქტი) - **№01211043682-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტო

კოდი: №81.21.06.241) ნაწილზე მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარედ სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) ცვლილება საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2).

საპროექტო ტერიტორიის მიმდებარე არეალი განვითარებულია დაბალი ინტენსივობით, დომინირებულ სახეობას წარმოადგენს ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლები.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ხეხილსანერგე მეურნეობის ტერიტორიაზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.21.06.241) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „გ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-3 პუნქტი) - **№01210665-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.21.858) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 24 მარტის №01210832408 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახურის 2021 წლის 26 მარტის №0121085579 წერილის მიხედვით, მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებთან დამოუკიდებლად არსებობს მისასვლელი გზა. მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონის გაუქმება არ წარმოადგენს არსებით ცვლილებას, რომელმაც შესაძლოა სამომავლოდ სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის განვითარების პროცესში წარმოქმნას დაბრკოლება. შესაბამისად, საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, კომპეტენციის ფარგლებში, მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) გაუქმების წინააღმდეგი არ არის.

ამასთან, სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მიმდებარე ტერიტორიაზე (ს/კ: №72.16.17.465) და აღმოსავლეთით არსებულ დაურეგისტრირებელ მცირე მონაკვეთზე (დაახლოებით 30 კვ.მ), გავრცელებული სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება მოხდეს სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) რათა არსებული ხარვეზი გამოსწონებულ იქნას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისში, სოფელ თხინვალაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №72.16.21.858) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 2-ით (რზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „დ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-4 პუნქტი) - **№01211031102-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ ვარცლაში მდებარე მიწის ნაკვეთი №15/310-ზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.015.310) მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილების მიღებით ზიანის ანაზღაურებაზე უფლებამოსილი მესაკუთრის კანონიერი უფლების აღდგენის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით ხორციელდება №01.72.14.015.310 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზე სატყეო ზონის ცვლილება სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 20 აპრილის №18-01211103726 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო არეალზე ვრცელდებოდა სარეკრეაციო ზონა 3 (რზ-3).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ დიღომში, დიდ ვარცლაში მდებარე მიწის ნაკვეთი 15/310-ზე (საკადასტრო კოდი: №01.72.14.015.310) და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის

სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკის ფენით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ე“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-5 პუნქტი) - **№01210982542-67 განცხადებით,** ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა №31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.09.224) მოთხოვნილია სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება.

საპროექტო მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორია განვითარებულია დაბალი ინტენსივობის ერთგვაროვანი საცხოვრებელი ქვეზონის ფარგლებში და მათზე „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 2 (სზ-2), შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას.

ამასთანავე, №81.05.09.224 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიის ერთიანი სახით განვითარების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება №81.05.09.224 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთის მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, გზისკარის ქუჩა №31-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №81.05.09.224) და მიმდებარე ტერიტორიაზე სასოფლო-სამეურნეო ზონის (სოფზ) საცხოვრებელი ზონა 2-ით (სზ-2) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ვ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-6 პუნქტი) - **№01210692494-67(№0121050677-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.920) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

განმცხადებლის მიერ ფუნქციური ზონის ცვლილება მოთხოვნილია №01.10.18.009.920 საკადასტრო ერთეულის ნაწილზე (ფართობი: 177 კვ.მ), მისი შემდგომი შესყიდვის მიზნით. აღნიშნულ საკადასტრო ერთეულზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 3 აპრილის №53 განკარგულებით დამტკიცდა განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტი, რომლის ფარგლებშიც საპროექტო ტერიტორიაზე განისაზღვრა ფუნქციური ზონირება. აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის

იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 25 თებერვლის №0121056187 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ მოთხოვნილ მონაკვეთზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) ცვლილება მოხდეს ზემოაღნიშნული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტით გათვალისწინებული საპროექტო ფუნქციური ზონირების კონფიგურაციის შესაბამისად.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) იცვლება განცხადებით მოთხოვნილი ცვლილების მონაკვეთის ნაწილსა და მიწის ნაკვეთის განაშენიანების რეგულირების გეგმით დამტკიცებული ზონირების მიღმა არსებულ, ხარვეზის სახით დარჩენილ ტერიტორიაზე. ცვლილება სრულად მოიცავს 72 კვ.მ-ს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ლისის ტბის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.18.009.920) ნაწილზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია (ცვლილების ფართობი: 72 კვ.მ).

- განმარტებითი ბარათის „ზ“ პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-7 პუნქტი) - **№01211114-67(№01210553102-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩა №6გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.08.348) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 22 აპრილის №01211123115 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის ნაწილსა და მიმდებარე ტერიტორიაზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1), შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას.

ამასთანავე, ცვლილებით გამოწვეული ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ

თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს ინიციატივით, ცვლილება ხორციელდება №81.02.08.348 საკადასტრო ერთეულის მიმდებარე ტერიტორიაზეც.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ ტაბახმელაში, თამარ მეფის ქუჩა №6გ-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №81.02.08.348) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „თ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-8 პუნქტი) - **№0121110777-67(№01211052555-67) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა №8-ში (ნაკვეთი 39/017) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.039.017) ნაწილზე მოთხოვნილია გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის ნაწილის მოხსნა (ცენტრალურ და ჩრდილოეთ ნაწილში) და ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გავრცელება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 21 აპრილის №01211112497 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა მოიხსნას საპროექტო ტერიტორიის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.039.017) შუა ნაწილში გავრცელებული თბილისის გამწვანებული ტერიტორიების რუკით განსაზღვრული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენა. რაც შეეხება საპროექტო ტერიტორიის დარჩენილ ნაწილს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურს მიზანშეწონილად მიაჩნია მასზე გავრცელებული შიდა კვარტალური და მცირე ზომის ურბანული გამწვანებული არეალების ფენის არსებული სახით შენარჩუნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ალექსიძის ქუჩა №8-ში (ნაკვეთი 39/017) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.10.13.039.017) ნაწილზე გამწვანებული ტერიტორიების რუკით გავრცელებული ურბანული გამწვანების (შიდა კვარტალური) ფენის ნაწილის მოხსნა (ცენტრალურ ნაწილში) და ძირითადი რუკით განსაზღვრული სპეციალური ზონა 1-ის (სპეცზ-1) გავრცელება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ი" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-9 პუნქტი) - **№19/01210911392-01(№19/01210902382-01) განცხადებით,** ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.01.13.072 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 20 აპრილის №18-01211103678 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქიცური ზონის, კერძოდ, საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება.

მოსახლეობის ინტერესის გათვალისწინებით და ფაქტობრივი გარემოების დაფიქსირების მიზნით, ქალაქ თბილისში, სოფელ კიკეთში არსებულ ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი: №81.01.13.072 და მიმდებარე ტერიტორია) საცხოვრებელი ზონა 1-ის (სზ-1) სატყეო ზონით ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „კ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-10 პუნქტი) - **№01210912502-67 წერილით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ი. ჭავჭავაძის ზონა, კორპუსი №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.017.037) და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 13 აპრილის N01211033886 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, საპროექტო მიწის ნაკვეთების მომიჯნავედ, სამხრეთით, ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-105 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიაზე ვრცელდებოდა საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1).

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ი. ჭავჭავაძის ზონა, კორპუსი №1-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: №01.20.01.017.037) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „ლ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-11 პუნქტი) - **№01211103817-67 წერილით,** ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.12.731, №81.02.18.976, №81.02.18.389 და მიმდებარე ტერიტორია) მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 26 აპრილის №01211164073 წერილის მიხედვით, კომპეტენციის ფარგლებში, ითვალისწინებს რა ფუნქციური ზონის მოთხოვნილი ცვლილების მიზნობრიობას, რომელიც წარმოადგენს ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების შემდგომ გაერთიანებას, ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების გაერთიანების შემდგომ, გაერთიანებულ მიწის ნაკვეთს ექნება მისასვლელი გზა, საზოგადოებრივი სივრცე (სატრანსპორტო ზონა 1 (ტზ-1)) ალ. ჭავჭავაძის ქუჩიდან. შესაბამისად, ზონის ცვლილების შემდგომ საზოგადოებრივი სივრცის - გზის გარეშე დარჩენილი რეგისტრაციები არ წარმოიქმნება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში, ალექსანდრე ჭავჭავაძის ქუჩა №8-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: №81.02.12.731, №81.02.18.976, №81.02.18.389 და მიმდებარე ტერიტორია) სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება მისაღებია.

- განმარტებითი ბარათის „მ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-12 პუნქტი) - **№01211163361-67 წერილით,** ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში (ნაკვეთი 122/084) მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.20.01.122.084) ნაწილზე მოთხოვნილია ძირითადი რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის საცხოვრებელი ზონა 1-ით (სზ-1) ცვლილება და გამწვანებული ტერიტორიების რუკით შემოთავაზებული სატყეო ზონის ფენის მოხსნა.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 27 აპრილის №01211173151 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, თანახმაა წარმოდგენილ საპროექტო არეალზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება და ასევე, მოიხსნას გამწვანებული ტერიტორიების თემატური რუკით განსაზღვრული სატყეო ზონის ფენა.

„დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებით დამტკიცებული დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის გრაფიკული ნაწილის - რუკის მიხედვით, საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 1 (სზ-1). შესაბამისად, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილებას არ ექნება ფრაგმენტული ხასიათი და არ გამოიწვევს მიმდებარე განაშენიანების ერთიანი სტრუქტურის რღვევას.

მოთხოვნილი სახით ფუნქიციური ზონის ცვლილების მიზანს წარმოადგენს მისი გასხვისება ფაქტობრივად დაკავებული ტერიტორიის გათვალისწინებით.

- განმარტებითი ბარათის „ნ" პუნქტი (ფუნქციური ზონების ცვლილების საინფორმაციო მასალის მე-13 პუნქტი) - **№01211111108-67 წერილით,** ქალაქ თბილისში, საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.001.111) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს საგზაო მოძრაობის დაგეგმვის სამსახური, 2021 წლის 26 აპრილის

№01211164074 წერილით, კომპეტენციის ფარგლებში, ფუნქციური ზონის მოთხოვნილი სახით ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახური, 2021 წლის 27 აპრილის N01211173186 წერილით, თანახმაა საპროექტო ტერიტორიაზე განხორციელდეს მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, საქართველოს გაერთიანებისთვის მებრძოლთა ქუჩა, გამყოფი ზოლზე მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.19.20.001.111) ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) სარეკრეაციო ზონა 3-ით (რზ-3) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01210833824-67; №01211043682-67; №01210665-67; №01211031102-67; №01210982542-67; №01210692494-67(№0121050677-67); №01211114-67(№01210553102-67); №0121110777-67(№01211052555-67); №19/01210911392-01(№19/01210902382-01); №01210912502-67; №01211103817-67; №01211163361-67 და №01211111108-67) (სულ: 13 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 28 აპრილის **№12-0321118143-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების (სულ: 13 წინადადება - №01210833824-67; №01211043682-67; №01210665-67; №01211031102-67; №01210982542-67; №01210692494-67(№0121050677-67); №01211114-67(№01210553102-67); №0121110777-67(№01211052555-67); №19/01210911392-01(№19/01210902382-01); №01210912502-67; №01211103817-67; №01211163361-67; №01211111108-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2021 წლის 28 აპრილის **№12-0321118143-03** წერილით წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების (სულ: 13 წინადადება - №01210833824-67; №01211043682-67; №01210665-67; №01211031102-67; №01210982542-67; №01210692494-67(№0121050677-67); №01211114-67(№01210553102-67); №0121110777-67(№01211052555-67); №19/01210911392-01(№19/01210902382-01); №01210912502-67; №01211103817-67; №01211163361-67; №01211111108-67) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

მოისმინეს დღის წესრიგის მეოთხე (მიმდინარე) საკითხი - „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის შესახებ (ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კ. კალაძის 2020 წლის 18 ივნისის **№12-032017049-03 წერილის დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული №01200501781-67 განცხადება)**

განსახილველ საკითხთან დაკავშირებით აღინიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის 2020 წლის 30 ივნისის კომისიის სხდომაზე (ოქმი №61) მიღებული გადაწყვეტილებით, დამატებითი შესწავლის მიზნით გადადებული იქნა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 2020 წლის 17 ივნისის №20.620.777 განკარგულებით („ზ“ პუნქტი), ასევე დადგენილების პროექტის თანდართული „მიმდინარე სივრცით-გეგმარებითი და სამშენებლო განვითარების სამუშაო პროცესის შედეგად გენგეგმაში შესატანი ცვლილებების შესახებ“ საინფორმაციო მასალით (პროექტით) (მე-7 წინადადება) და განმარტებითი ბარათით წარმოდგენილი **№01200501781-67 განცხადება.**

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი წარმოადგინა ქ-ნმა ნ. ბაგაშვილმა.

მომხსენებლის (ნ. ბაგაშვილი) მიერ განსახილველი საკითხის თაობაზე წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად, **№01200501781-67 განცხადებით,** ქ. თბილისში, ბეთლემის ჩიხი №4/5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: №01.18.03.072.051) ნაწილზე მოთხოვნილია სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის 2020 წლის 28 თებერვლის №01200594200 წერილის მიხედვით, მოცემული მიწის ნაკვეთი არ წარმოადგენს სატრანსპორტო ფუნქციით დატვირთულ ტერიტორიას და არც სამომავლოდ იგეგმება მისი სატრანსპორტო დანიშნულებით გამოყენება. შესაბამისად, სამსახური მოთხოვნილი ფუნქციური ზონის ცვლილების წინააღმდეგი არ არის.

გზის ლოკალური კონტურის შეკვრისა და ფაქტობრივი მდგომარეობის მიხედვით გასწორების მიზნით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ურბანული განვითარების სამსახურის ინიციატივით №01.18.03.072.111, №01.18.03.072.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე და მიმდებარე ტერიტორიაზე ხორციელდება სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისში, ბეთლემის ჩიხი №4/5-ში მდებარე მიწის ნაკვეთის ნაწილზე (საკადასტრო კოდი: №01.18.03.072.051, №01.18.03.072.111, №01.18.03.072.027 საკადასტრო კოდით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების ნაწილზე) და მიმდებარე ტერიტორიაზე სატრანსპორტო ზონა 1-ის (ტზ-1) საცხოვრებელი ზონა 3-ით (სზ-3) ცვლილება მისაღებია.

სხდომაზე წარმოდგენილი ინფორმაციისა და დოკუმენტაციის გაცნობის შემდეგ, №01200501781-67 განცხადებასთან (სულ: 1 წინადადება) დაკავშირებით კომისიის წევრთა მიერ განსხვავებული აზრი, შეკითხვები და წინადადებები არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა კენჭისყრაზე დასვა შემდეგი წინადადება:

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 18 ივნისის **№12-032017049-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული **№01200501781-67 განცხადების** (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

თავი შეიკავა - 0

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გარემოს დაცვის კომისიის დამსწრე წევრთა ხმათა უმრავლესობით **გადაწყვიტეს:**

რეკომენდაცია გაეწიოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის კახა კალაძის მიერ 2020 წლის 18 ივნისის **№12-032017049-03 წერილით** წარმოდგენილი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის №39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტით გათვალისწინებული **№01200501781-67 განცხადების** (სულ: 1 წინადადება) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე განსახილველად გატანას.

სხდომის თავმჯდომარემ, ბ-ნმა გიორგი დოხტურიშვილმა სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე:  გიორგი დოხტურიშვილი